საქართველოს მთავრობის

დადგენილება №553

2021 წლის 29 ნოემბერი

ქ. თბილისი

„სუბსიდირებული იპოთეკური სესხის“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს №388 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სუბსიდირებული იპოთეკური სესხის“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს №388 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/08/2021, 190020030.10.003.022943) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის – „სუბსიდირებული იპოთეკური სესხის“:

1. პირველი მუხლის:

ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მარტოხელა მშობელი:

გ.ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე საქართველოს მოქალაქე (პირი) ან/და;

გ.ბ) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, რომელიც სესხის აღების მომენტში არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში და ჰყავს არასრულწლოვანი შვილ(ებ)ი/აყვანილი შვილ(ებ)ი;“;

ბ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ბინა – „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული ინდივიდუალური საკუთრება – ბინა და ბინასთან დაკავშირებული არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრება, რომელსაც მიენიჭება/მინიჭებული აქვს ერთი საკადასტრო კოდი. აგრეთვე ამ ფართობის შემადგენელი ის ნაწილები, რომლებიც შეიძლება, გადაკეთდეს, მოსცილდეს ან/და დაემატოს ისე, რომ ამით გაუმართლებლად არ შეილახოს საერთო საკუთრება ან ინდივიდუალურ საკუთრებაზე დაფუძნებული სხვა რომელიმე მესაკუთრის უფლება.“.

2. მე-2 მუხლში:

ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 პუნქტი:

„8^1. ამ პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელ სახლში/კომპლექსში არსებულ სამეურნეო სათავსებზე (სარდაფები, სხვენები, ფარეხები და ა. შ.) მხოლოდ იმ შემთხვევაში გავრცელდება პროგრამა, თუ ისინი განთავსებულია იმავე საცხოვრებელ სახლში/კომპლექსში, სადაც ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხით შესაძენი ბინა და შეძენილი იქნება საცხოვრებელ ბინასთან ერთად.“;

ბ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. ამ დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, პროგრამით სარგებლობისას მშობელი (როგორც პროგრამით მოსარგებლე, ასევე ბავშვის დაბადების მოწმობაში ფიქსირებული მეორე მშობელი) ერთი და იმავე ბავშვ(ებ)ით მხოლოდ ერთხელ სარგებლობს პროგრამით.“;

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13 პუნქტი:

„13. ამ პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა არ აქვს იმ მსესხებელს, რომელიც არის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 ივნისის №387 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის –„იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის“ ბენეფიციარი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**